

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 27 ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

მიზანი

1. წინამდებარე სტანდარტის მიზანია, დაადგინოს შვილობილ საწარმოებში, ერთობლივ საწარმოებსა და მეკავშირე საწარმოებში ფლობილი ინვესტიციების ბუღალტრული აღრიცხვისა და განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნების წესები იმ შემთხვევისთვის, როდესაც საწარმო ამზადებს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.

მოქმედების სფერო

2. მოცემული სტანდარტი გამოიყენება შვილობილ, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებში ფლობილი ინვესტიციების ბუღალტრული აღრიცხვისთვის იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმო გადაწყვეტს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, ან ამის გაკეთება მოეთხოვება ადგილობრივი კანონმდებლობით.
3. წინამდებარე სტანდარტი არ ადგენს, რომელ საწარმოებს ევალებათ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენა. იგი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმო ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

განმარტებები

4. წინამდებარე სტანდარტში ტერმინები გამოყენებულია შემდეგი მნიშვნელობით:

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება - საწარმოთა ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება, რომელშიც მშობელი საწარმოსა და მისი შვილობილი საწარმოების აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯები და ფულადი ნაკადები წარდგენილია, როგორც ერთი ეკონომიკური სუბიექტის აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯები და ფულადი ნაკადები.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება - საწარმოს მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგება, რომელშიც საწარმოს, საკუთარი შეხედულებისამებრ, წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით, შვილობილ, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების აღრიცხვა შეუძლია თვითღირებულებით, ფასს 9-ის - „*ფინანსური ინსტრუმენტები*“ - შესაბამისად, ან წილობრივი მეთოდის გამოყენებით, როგორც ეს აღწერილია ბასს 28-ში - „*ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში*“.
5. შემდეგი ტერმინები განმარტებულია ფასს 10-ის - „*კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება*“ - „ა“ დანართში, ფასს 11-ის - „*ერთობლივი საქმიანობა*“ - „ა“ დანართში და ბასს 28-ის - „*ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში*“ - მე-3 პუნქტში:
 - მეკავშირე საწარმო;
 - ინვესტირებული საწარმოს კონტროლი;
 - წილობრივი მეთოდი;
 - ჯგუფი;
 - საინვესტიციო საწარმო;
 - ერთობლივი კონტროლი;
 - ერთობლივი საწარმო;
 - ერთობლივი მეწილე;
 - მშობელი საწარმო;
 - მნიშვნელოვანი გავლენა;

- შვილობილი საწარმო.
6. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება არის ფინანსური ანგარიშგება, რომლის წარდგენა ხდება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამატების სახით, ან იმ ინვესტიციის ფინანსური ანგარიშგების დამატების სახით, რომელსაც არ გააჩნია ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში, მაგრამ აქვს ინვესტიციები მეკავშირე, ან ერთობლივ საწარმოებში, რომელშიც, ბასს 28-ის შესაბამისად, მეკავშირე, ან ერთობლივ საწარმოებში ფლობილი ინვესტიციების ასახვა მოითხოვება წილობრივი მეთოდის გამოყენებით, გარდა 8-8ა პუნქტებში აღწერილი შემთხვევებისა.
 7. ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებად არ მიიჩნევა იმ საწარმოს ფინანსური ანგარიშგება, რომელსაც არ გააჩნია შვილობილი საწარმო, მეკავშირე საწარმო, ან ერთობლივი მეწილის წილი ერთობლივ საწარმოში.
 8. საწარმოს, რომელიც განთავისუფლებულია კონსოლიდაციისგან ფასს 10-ის 4(ა) პუნქტის შესაბამისად, ან წილობრივი მეთოდის გამოყენებისგან ბასს 28-ის (2011 წლის შესწორებული ვერსია) მე-17 პუნქტის შესაბამისად, უფლება აქვს, თავისი ერთადერთი ფინანსური ანგარიშგების სახით წარადგინოს ინდივიდუალური ფინანსურ ანგარიშგება.
 - 8ა. საინვესტიციო საწარმო, რომელიც ვალდებულია, ფასს 10-ის მე-3 პუნქტის შესაბამისად კონსოლიდაციიდან განთავისუფლების მოთხოვნა გამოიყენოს ყველა თავისი შვილობილი საწარმოსთვის როგორც მიმდინარე, ისე ყველა წარდგენილ შესადარის პერიოდშიც, ერთადერთი ფინანსური ანგარიშგების სახით წარადგენს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადება

9. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს ყველა შესაფერისი სტანდარტის შესაბამისად, მე-10 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.
10. საწარმომ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, შვილობილ, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებში ფლობილი ინვესტიციები უნდა ასახოს:
 - ა) თვითღირებულებით;
 - ბ) ფასს 9-ის შესაბამისად; ან
 - გ) წილობრივი მეთოდით, როგორც აღწერილია ბასს 28-ში.

საწარმომ ერთი და იგივე სააღრიცხვო პოლიტიკა უნდა გამოიყენოს ყველა კატეგორიის ინვესტიციისთვის. თვითღირებულებით, ან წილობრივი მეთოდით ასახული ინვესტიციები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად ან გასანაწილებლად გამიზნული (ან ჩართულია გასაყიდად, ან გასანაწილებლად გამიზნულად კლასიფიცირებულ გამსვლელ ჯგუფში), უნდა აღირიცხოს ფასს 5-ის - „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“ - შესაბამისად. ასეთ ვითარებაში არ იცვლება ფასს 9-ის შესაბამისად ასახული ინვესტიციების შეფასება.
11. თუ საწარმო, ბასს 28-ის (2011 წლის შესწორებული ვერსია) მე-18 პუნქტის თანახმად, გადაწყვეტს მეკავშირე საწარმოებში ან ერთობლივ საწარმოებში ფლობილი ინვესტიციების შეფასებას სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით ფასს 9-ის შესაბამისად, მან ეს ინვესტიციები ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაშიც ამავე მეთოდით უნდა ასახოს.
- 11ა. თუ მშობელი საწარმო, ფასს 10-ის 31-ე პუნქტის შესაბამისად, ვალდებულია, რომ შვილობილ საწარმოში კუთვნილი ინვესტიცია ფასს 9-ის შესაბამისად შეაფასოს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, მან შვილობილ საწარმოში ფლობილი ინვესტიცია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაშიც ამავე მეთოდით უნდა ასახოს.
- 11ბ. როდესაც მშობელი საწარმო აღარ აკმაყოფილებს საინვესტიციო საწარმოს განმარტებას, ან პირიქით, ხდება საინვესტიციო საწარმო, მან საკლასიფიკაციო სტატუსის შეცვლის თარიღიდან ეს ცვლილება უნდა ასახოს შემდეგნაირად:
 - ა) თუ საწარმო აღარ კლასიფიცირდება საინვესტიციო საწარმოდ, მან ინვესტიცია შვილობილ საწარმოში მე-10 პუნქტის შესაბამისად უნდა აღირიცხოს, ხოლო საკლასიფიკაციო სტატუსის

შეცვლის თარიღი მიიჩნის პირობით შეძენის თარიღად. თუ ინვესტიცია მე-10 პუნქტის შესაბამისად აღირიცხება, პირობითი შეძენის თარიღის მდგომარეობით განსაზღვრული შვილობილი საწარმოს სამართლიანი ღირებულება უნდა წარმოადგენდეს გადაცემულ პირობით კომპენსაციას.

(i) [გაუქმებულია]

(ii) [გაუქმებულია]

ბ) თუ საწარმო გახდება საინვესტიციო საწარმო, მან შვილობილ საწარმოში ფლობილი ინვესტიცია ფასს 9-ის მიხედვით უნდა აღირიცხოს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. სხვაობა შვილობილი საწარმოს ადრინდელ საბალანსო ღირებულებასა და ინვესტორის საკლასიფიკაციო სტატუსის შეცვლის თარიღისთვის განსაზღვრულ მის სამართლიან ღირებულებას შორის უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში როგორც შემოსულობა, ან ზარალი. შემოსულობის ან ზარალის მთლიანი თანხა, რომელიც ადრე „სხვა სრულ შემოსავალში“ იყო აღიარებული ამ შვილობილ საწარმოებთან მიმართებით, იმგვარად უნდა აისახოს, თითქოს საინვესტიციო საწარმოს საკლასიფიკაციო სტატუსის შეცვლის თარიღისთვის მოხდა ამ შვილობილი საწარმოების გასვლა.

12. **შვილობილი საწარმოდან, ერთობლივი საწარმოდან, ან მეკავშირე საწარმოდან მიღებული დივიდენდები მაშინ უნდა აღიარდეს საწარმოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც დადგინდება საწარმოს დივიდენდების მიღების უფლება. აღნიშნული დივიდენდები აღიარდება მოგებაში ან ზარალში, თუ საწარმოს გადაწყვეტილი არა აქვს წილობრივი მეთოდის გამოყენება, რა შემთხვევაშიც დივიდენდები აღიარდება, როგორც ინვესტიციის საბალანსო ღირებულების შემცირება.**

13. როდესაც მშობელი საწარმო ჯგუფის სტრუქტურას გარდაქმნის ახალი საწარმოს, კერძოდ, თავისი მშობელი საწარმოს დაფუძნებით იმგვარად, რომ დაკმაყოფილებულია შემდეგი კრიტერიუმები:

ა) ახალი მშობელი საწარმო თავდაპირველ მშობელ საწარმოზე კონტროლს მოიპოვებს წილობრივი ინსტრუმენტების გამოშვებით, თავდაპირველი მშობელი საწარმოს არსებული წილობრივი ინსტრუმენტების სანაცვლოდ;

ბ) ახალი ჯგუფისა და თავდაპირველი ჯგუფის აქტივები და ვალდებულებები ერთი და იგივეა უშუალოდ რეორგანიზაციამდე და რეორგანიზაციის შემდეგ; და

გ) თავდაპირველი მშობელი საწარმოს რეორგანიზაციამდე მესაკუთრეებს, რეორგანიზაციამდე და რეორგანიზაციის შემდეგაც, ერთი და იგივე წილი აქვთ თავდაპირველი ჯგუფისა და ახალი ჯგუფის წმინდა აქტივებში, აბსოლუტურ და ხვედრით სიდიდეებში და ახალი მშობელი საწარმო თავის ინვესტიციებს თავდაპირველ მშობელ საწარმოში 10 (ა) პუნქტის შესაბამისად ასახავს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში, მაშინ ახალმა მშობელმა საწარმომ ინვესტიციების თვითღირებულება უნდა შეაფასოს საკუთარი კაპიტალის იმ ელემენტებში თავისი წილის საბალანსო ღირებულებით, რომლებიც ნაჩვენებია თავდაპირველი მშობელი საწარმოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში რეორგანიზაციის თარიღისათვის.

14. ანალოგიურად, სხვა საწარმოსაც (რომელიც თავად არ არის მშობელი საწარმო) შეუძლია ახალი საწარმოს, კერძოდ, მშობელი საწარმოს დაფუძნება ისე, რომ დაკმაყოფილებული იყოს მე-13 პუნქტის კრიტერიუმები. მე-13 პუნქტის მოთხოვნები ამგვარი რეორგანიზაციის დროსაც გამოიყენება. ასეთ შემთხვევაში, ტერმინების „თავდაპირველი მშობელი საწარმო“ და „თავდაპირველი ჯგუფი“ ნაცვლად ნაგულისხმევი იქნება „თავდაპირველი საწარმო“.

განმარტებითი შენიშვნები

15. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გასამჟღავნებელი ინფორმაციის მოსამზადებლად საწარმომ უნდა გამოიყენოს ყველა შესაფერისი ფასს, მათ შორის მე-16 და მე-17 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

16. როდესაც მშობელი საწარმო ფასს 10-ის 4(ა) პუნქტის შესაბამისად გადაწყვეტს, არ მოამზადოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და ამის ნაცვლად ამზადებს ინდივიდუალურ

ფინანსურ ანგარიშგებას, მან ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

- ა) ის ფაქტი, რომ მოცემული ფინანსური ანგარიშგება არის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება; საწარმომ გამოიყენა კონსოლიდაციისაგან განთავისუფლების უფლება; იმ საწარმოს სახელწოდება და საქმიანობის ძირითადი ადგილი (ქვეყანა) (და ასევე ქვეყანა, სადაც რეგისტრირებულია, თუ განსხვავდება მისი საქმიანობის ძირითადი ადგილისგან) , ვისი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაც შედგენილია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და ხელმისაწვდომია საჯარო სარგებლობისთვის; მისამართი, სადაც შეიძლება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოპოვება;
- ბ) შვილობილ საწარმოებში, ერთობლივ საწარმოებსა და მეკავშირე საწარმოებში დაბანდებული მნიშვნელოვანი ინვესტიციების სია, მათ შორის:
 - (i) ამ ინვესტირებული საწარმოების სახელწოდებები;
 - (ii) თითოეული ინვესტირებული საწარმოს საქმიანობის ძირითადი ადგილი (ქვეყანა) (და ასევე ქვეყანა, სადაც რეგისტრირებულია, თუ განსხვავდება მისი საქმიანობის ძირითადი ადგილისგან);
 - (iii) ამ ინვესტირებულ საწარმოებში ფლობილი საკუთრების პროცენტული წილი (და, თუ განსხვავებულია, წილი მესაკუთრეთა ხმის უფლებებში).
- გ) (ბ) პუნქტით გათვალისწინებულ სიაში შეტანილი ინვესტიციების აღრიცხვისთვის გამოყენებული მეთოდების აღწერა.

16ა. თუ საინვესტიციო საწარმო, რომელიც წარმოადგენს მშობელ საწარმოს (გარდა მე-16 პუნქტში მითითებული მშობელი საწარმოსი), 8ა პუნქტის შესაბამისად, ერთადერთი ფინანსური ანგარიშგების სახით ამზადებს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას, მან განმარტებით შენიშვნებში უნდა დააფიქსიროს ეს ფაქტი. გარდა ამისა, საინვესტიციო საწარმომ უნდა წარმოადგინოს ყველანაირი ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც ევალებათ საინვესტიციო საწარმოს ფასს 12-ის - „განმარტებითი შენიშვნები სხვა საწარმოებში მონაწილეობის შესახებ“ - მიხედვით.

17. როდესაც მშობელი საწარმო (გარდა 16-16ა პუნქტებში მითითებული მშობელი საწარმოების), ან ინვესტორი, რომელსაც გააჩნია ერთობლივი კონტროლი ან მნიშვნელოვანი გავლენა ინვესტირებულ საწარმოზე, ამზადებს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას, მშობელმა საწარმომ ან ინვესტორმა ზუსტად უნდა მიუთითოს ფასს 10-ის, ფასს 11-ის, ან ბასს 28-ის (2011 წლის შესწორებული ვერსია) შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება, რომელთანაც ეს ანგარიშგებებია დაკავშირებული. ამასთან, მშობელმა საწარმომ ან ინვესტორმა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

- ა) ის ფაქტი, რომ მოცემული ფინანსური ანგარიშგება არის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და მიზეზები, რის გამოც მომზადდა აღნიშნული ანგარიშგება, თუ კანონმდებლობით ამის გაკეთება არ ევალება;
- ბ) შვილობილ საწარმოებში, ერთობლივ საწარმოებსა და მეკავშირე საწარმოებში დაბანდებული მნიშვნელოვანი ინვესტიციების სია, მათ შორის:
 - (i) ინვესტირებული საწარმოების სახელწოდებები;
 - (ii) თითოეული ინვესტირებული საწარმოს საქმიანობის ძირითადი ადგილი (ქვეყანა) (და ასევე ქვეყანა, სადაც რეგისტრირებულია, თუ განსხვავდება მისი საქმიანობის ძირითადი ადგილისგან);
 - (iii) ამ ინვესტირებულ საწარმოებში ფლობილი საკუთრების პროცენტული წილი (და, თუ განსხვავებულია, წილი მესაკუთრეთა ხმის უფლებებში).
- გ) (ბ) პუნქტით გათვალისწინებულ სიაში შეტანილი ინვესტიციების აღრიცხვისთვის გამოყენებული მეთოდების აღწერა.

ძალაში შესვლის თარიღი და სტანდარტზე გადასვლა

18. საწარმომ წინამდებარე სტანდარტი უნდა გამოიყენოს 2013 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ ცვლილებას უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში და იმავდროულად გამოიყენოს ფასს 10, ფასს 11, ფასს 12 და ბასს 28 (2011 წლის შეცვლილი ვერსია).
- 18ა. 2012 წლის ოქტომბერში გამოცემულმა დოკუმენტმა - „საინვესტიციო საწარმოები“ - (ფასს 10-ის, ფასს 12-ისა და ბასს 27-ის შესწორებები) - გამოიწვია მე-5, მე-6, მე-17 და მე-18 პუნქტების შეცვლა და 8ა, 11ა-11ბ, 16ა და 18ბ-18ი პუნქტების დამატება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2014 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი ადრე გამოყენება. თუ საწარმო ამ ცვლილებებს უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში და იმავდროულად უნდა გამოიყენოს დოკუმენტში - „საინვესტიციო საწარმოები“ - გათვალისწინებული ყველა ცვლილება.
- 18ბ. თუ დოკუმენტი - „საინვესტიციო საწარმოები“ - გათვალისწინებული ცვლილებების თავდაპირველი გამოყენების თარიღისათვის (რომელიც ამ სტანდარტის მიზნებისთვის არის იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისი, რომლისთვისაც პირველად გამოიყენება ზემოაღნიშნული ცვლილებები) მშობელი საწარმო დაასკვნის, რომ ის მიიჩნევს საინვესტიციო საწარმოდ, მან შეიღობილ საწარმოში ფლობილი ინვესტიციის მიმართ უნდა გამოიყენოს 18გ-18ი პუნქტები.
- 18გ. ზემოხსენებული ცვლილებების თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის, საინვესტიციო საწარმომ, რომელიც ადრე შეიღობილ საწარმოში ფლობილ ინვესტიციას აფასებდა თვითღირებულებით, ეს ინვესტიცია უნდა შეაფასოს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით ისე, თითქოს ყოველთვის წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნები იყო ძალაში. საინვესტიციო საწარმომ რეტროსპექტულად უნდა გააკორექტიროს იმ წლიური პერიოდის მონაცემები, რომელიც უშუალოდ უსწრებს წინ ამ ცვლილებების თავდაპირველი გამოყენების თარიღს და ასევე უნდა გააკორექტიროს უშუალო წინა პერიოდის დასაწყისის მდგომარეობით არსებული გაუნაწილებელი მოგების მონაცემი, შემდეგ ორ სიდიდეს შორის სხვაობის თანხით:
- ამ ინვესტიციის ადრინდელი საბალანსო ღირებულება; და
 - ინვესტორის მიერ შეიღობილ საწარმოში ფლობილი ინვესტიციის სამართლიანი ღირებულება.
- 18დ. ზემოხსენებული ცვლილებების თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის, საინვესტიციო საწარმომ, რომელიც ადრე შეიღობილ საწარმოში ფლობილ ინვესტიციას აფასებდა სამართლიანი ღირებულებით, „სხვა სრულ შემოსავალში“ ასახვით, ამ ინვესტიციის შეფასება უნდა გააგრძელოს სამართლიანი ღირებულებით. სამართლიანი ღირებულებების კორექტირების მთლიანი თანხა, რომელიც ადრე აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავალში“, საწარმომ უნდა გადაიტანოს იმ წლიური პერიოდის გაუნაწილებელი მოგების საწყის ნაშთში, რომელიც უშუალოდ უსწრებს წინ თავდაპირველი გამოყენების თარიღს.
- 18ე. ზემოხსენებული ცვლილებების თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის, საინვესტიციო საწარმო ვალდებული არ არის, შეცვალოს შეიღობილ საწარმოში ფლობილი ადრინდელი წილის სააღრიცხვო მეთოდი, რომელსაც წინათ აღრიცხავდა სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით ფასს 9-ის შესაბამისად, როგორც ეს მე-10 პუნქტითაა ნებადართული.
- 18ვ. სანამ ფასს 13-ის - „სამართლიანი ღირებულების შეფასება“ - გამოყენებას დაიწყებს, საინვესტიციო საწარმომ უნდა გამოიყენოს სამართლიანი ღირებულების ის მნიშვნელობები, რომლებიც ადრე წარედგინათ ინვესტორებს, ან ხელმძღვანელობას, თუ ეს ის თანხებია, რომლითაც შესაძლებელი იყო ინვესტიციის გაცვლა შეფასების თარიღისათვის საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გამოილი ხელის მანძილის“ პრინციპით განხორციელებულ გარიგებაში.
- 18ზ. თუ შეუძლებელია (ბასს 8-ში - „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“ - მოცემული განმარტების თანახმად) შეიღობილ საწარმოში განხორციელებული ინვესტიციის შეფასება 18გ-18ვ პუნქტების შესაბამისად, საინვესტიციო საწარმომ წინა-

მდებარე სტანდარტის მოთხოვნები უნდა გამოიყენოს ყველაზე ადრეული პერიოდის დასაწყისისთვის, რომლის მიმართაც შესაძლებელია 18გ-18ვ პუნქტების გამოყენება, რაც შეიძლება მიმდინარე პერიოდი იყოს. ინვესტორმა რეტროსპექტულად უნდა გააკორექტიროს იმ წლიური პერიოდის მონაცემები, რომელიც უშუალოდ უსწრებს წინ ზემოაღნიშნულ თავდაპირველი გამოყენების თარიღს, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მიმდინარე პერიოდია ყველაზე ადრეული პერიოდის დასაწყისი, რომლისთვისაც შესაძლებელია ამ პუნქტის გამოყენება. როდესაც თარიღი, რომლისთვისაც შესაძლებელია, რომ საინვესტიციო საწარმომ შეაფასოს შვილობილი საწარმოს სამართლიანი ღირებულება, წინ უსწრებს უშუალო წინა პერიოდის დასაწყისს, ინვესტორმა უნდა გააკორექტიროს უშუალო წინა პერიოდის დასაწყისისთვის არსებული საკუთარი კაპიტალის მონაცემი, შემდეგ ორ სიდიდეს შორის სხვაობის თანხით:

- ა) ამ ინვესტიციის ადრინდელი საბალანსო ღირებულება; და
- ბ) ინვესტორის მიერ შვილობილ საწარმოში ფლობილი ინვესტიციის სამართლიანი ღირებულება.

თუ მიმდინარე პერიოდია ყველაზე ადრეული პერიოდის დასაწყისი, რომლისთვისაც შესაძლებელია ამ პუნქტის გამოყენება, საკუთარი კაპიტალის კორექტირების თანხა უნდა აღიარდეს მიმდინარე პერიოდის დასაწყისში.

- 18თ. თუ საინვესტიციო საწარმო შვილობილ საწარმოში ფლობილ ინვესტიციას ასხვისებს, ან კონტროლს კარგავს შვილობილ საწარმოზე დოკუმენტით - „*საინვესტიციო საწარმოები*“ გათვალისწინებული ცვლილებების თავდაპირველი გამოყენების თარიღამდე, საინვესტიციო საწარმო ვალდებული არ არის, შეცვალოს ამ ინვესტიციის სააღრიცხვო მეთოდი, რომელსაც წინათ იყენებდა.
- 18ი. მიუხედავად იმისა, რომ 18გ-18ვ პუნქტებში მინიშნებაა წლიურ პერიოდზე, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს თავდაპირველი გამოყენების თარიღს („უშუალო წინა პერიოდი“), საწარმოს ასევე უფლება აქვს, კორექტირებული შესადარისი ინფორმაცია წარმოადგინოს უფრო ადრეული ნებისმიერი წარდგენილი პერიოდებისთვისაც, მაგრამ მას ამის გაკეთება არ ევალება. თუ საწარმო წარმოადგენს ზემოაღნიშნული ადრეული პერიოდების კორექტირებულ შესადარის ინფორმაციას, მან, 18გ-18ვ პუნქტებში ნახსენები „უშუალო წინა პერიოდის“ ნაცვლად, უნდა იგულისხმოს „წარდგენილი პერიოდებიდან ყველაზე ადრეული კორექტირებული შესადარისი პერიოდი“. თუ საწარმო წარმოადგენს არაკორექტირებულ შესადარის ინფორმაციას რომელიმე წინა პერიოდის შესახებ, მან ნათლად უნდა მიუთითოს, რომელი ინფორმაცია არ არის კორექტირებული, მიუთითოს, რომ ეს ინფორმაცია მომზადებულია სხვა საფუძველით და ახსნას, რა საფუძველია ეს.
- 18კ. 2014 წლის აგვისტოში გამოცემულმა დოკუმენტმა - „*წილობრივი მეთოდი ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში*“ (ბასს 27-ის შესწორებები) გამოიწვია მე-4-7, მე-10, 11ბ და მე-12 პუნქტების შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები რეტროსპექტულად უნდა გამოიყენოს 2016 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, ბასს 8 - ის - „*სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები*“ - შესაბამისად. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ ცვლილებებს უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

მინიშნება ფასს 9-ის გამოყენებაზე

- 19. თუ საწარმო წინამდებარე ფასს-ს იყენებს, მაგრამ ჯერ არ იყენებს ფასს 9-ს, მან ყველგან, სადაც მითითებულია ფასს 9-ის გამოყენება, უნდა იგულისხმოს ბასს 39 - „*ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება*“.

ბასს 27-ის (2008 წ.) გაუქმება

- 20. წინამდებარე სტანდარტი ქვეყნდება ფასს 10-თან ერთად. ზემოაღნიშნულმა ორივე სტანდარტმა ჩაანაცვლა ბასს 27 - „*კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება*“ (2008 წლის შესწორებული ვერსია).